


იუმორისტ. ჟურნალი

# აშაქაძის მათრასი



№ 19

თბილისი. ტიფ. კარ. აშხ.



გერმანელი მხედარი სწოფენის 16 წლის ოსმალელ ბავშვებს.

# შემთხვევა ეკელაფერი!

(შკითხვულებისადმი)

უბედურება, რომელიც ჩვენი ჟურნალის გარ-  
შემო დატრიალდა, საქირათ მიმანია გავაცნოთ  
ჩვენს პატივცემულ მკითხველებს. მხოლოდ ათ სექ-  
ტემბერს, ხუთშაბათ საღამოს გამოიკვა, რომ ბა-  
ტონი ეშმაკი და თავუნა ქალაქში არ იმყოფებიან  
და იდეური მხარე ჩვენი ჟურნალისა, რომელიც მათ  
მოვალეობას შეადგენდა, უპატრონოთ არის დარ-  
ჩენილი. ვინ იცის კიდევ რამდენხანს არ გამოორ-  
კველიყო ეს უბედურება ჩვენთვის, რომ ჩვენს  
კანტორაში თვით ბ-ნი თავუნას ოჯახობა არ მო-  
სულიყო და არ ეთქვა, რომ სადაც კაცი დაი-  
კარგა, მეშვიდე დღეა რაც ოთახების საქმენელათ  
წავიდა და არ დაბრუნებულაო. მე უთხარი—რამ  
შეგაშინა, ის ერთი ხანია ეშმაკთან ერთათ მუ-  
შაობს და მასალებს ეშმაკის ოთახში ამზადებენ  
თქვა. მე ასედაც მეგონა, მაშინვე გავქანეთ ეშმა-  
კის ბინაზე. ვნახეთ ოთახი დაკეტილია და გარეთ  
ფანჯარაზედ რაღაც წერილი დევს. მაშინვე წერი-  
ლი წავიკითხეთ და თქვენმა ბეტერმა გაიგო ისეთი  
ამბავი:

„ძმაო თავუნა! მე ეხლა აი ამ წუთში გადავ-  
წყვიტე კახეთში წასვლა და მივდივარ კიდევ. ცხა-  
დია მე ხვალ დილით დავბრუნდები თუ რაიმე გან-  
საკუთრებული შემთხვევა არ დამირჩა. იმედია შენ  
ამ ნომერს ჩვენი ჟურნალისას უჩემოთაც შეად-  
გენ. შენი ეშმაკი“.

ეს წერილი სრულად არ მქონდა წაკითხული  
ამ დროს ბ-ნი თავუნას ოჯახობამ დაიწყო მეორე  
წერილის კითხვა, რომელიც იქვე მეორე ფანჯა-  
რაზე ყოფილიყო შემოდებული:

„ძმაო ეშმაკო! მე სახლში ვეღარ მოვისწარი,  
შენ ალბათ ეხლა ქართულ კლუბში ვახშობ და  
მე კი სიარული აღარ შემიძლია, დღეს მესამე დღეა  
სახლიდან წამოვედი ბინის საქმენელათ და ჯერ  
კიდევ ვერ ვიპოვე ოთახები, ეხლა მივდივარ ქა-  
ლაქის განაპირა უბნებში, შეიძლება ერთი საპი  
დღე მომიგვიანდეს და თუ ჩვენებმა მკითხოს ეტ-  
ყვი, რომ ბინისა დავებეტები. აგრეთვე იმედი  
მაქვს ამ ნომერს უჩემოთ შეადგენ და მერმე  
როცა დავბინავდები თუგინდ მთელ თვეს ისეირნე.

ეხლა კი ჩემი საქმე სხვაფერ არის. ჯერ კიდევ  
ერთი თვის წინად ბაკურიანიდან იმიტომ წამოვე-  
დი, ბინა მეშოვნა, მაგრამ მაშინ სანამ ცოლ-შვი-  
ლი არ ჩამოვიდა თავი არ შევიწუხე. ეხლა სანამ  
ბინას არ ვიშოვნი სახლში ვერ მივალ და გზაში  
კი საჟურნალო წერილები ხომ არ დაიწერება. შე-  
ნი თავუნა“.


ამ წერილების წაკითხვის შემდეგ მე თავი  
ძლიერ ცუდათ ვიგრძენი. ეხლა უკვე გამოიკვა,  
რომ ჟურნალის ნომერი აღარ გამოვა და ეს ხომ  
ხელის მომწერლების და მკითხველების წინაშე და-  
ნაშაულად ჩათვლება გამომცემელს, თუგინდ მი-  
ზეზი ეშმაკი და თავუნა იყოს.

მე როდესაც ძლიერ შევწუხდი, მაშინ ბ-ნი  
თავუნას ოჯახობამ მანუგეშა: „რალას სწუხართ  
თქვენ, მაღლობა ღმერთს ისინი კარგათ ყოფილან,  
ერთი კახეთში წასულა, მეორე ოთახებს ეძებს. რა-  
ღა გაქვთ სამწუხაროა, დამემშვიდობა და წავიდა.

ერთი საათის შემდეგ გონს მოვედი და გადავ-  
სწყვიტე თითონ შევედგინა ეს ერთი ნომერი, რო-  
მელიც დიდი ვაი-ვაგლახით სისრულეშიც მოვი-  
ყვანე. თუ ეს ნომერი შედარებით სუსტია და ვერ  
ისიამოვნებთ, ამაში დამნაშავეა ბ-ნი ეშმაკი და  
თავუნა. დღე ისინმა ავონ პასუხი თქვენს წინაშე.  
თუმცა ბ-ნი ეშმაკის დანაშაული უფრო ნაკლებია  
და უნდა ვიშუამდგომლო თქვენს წინაშე, რათა  
მისი სასჯელი შემსუბუქდეს. ის შეყვარებულია და  
რადგან სიყვარული ხანში შესულ ეშმაკზედაც ისე  
მოქმედობს, როგორც ადამიანზე, არ არის საძრახო-  
სი მისი მოუსვენრობა. ხოლო თავუნა კი დიდი  
დამნაშავეა. ერთი თვე, ბაკურიანიდან დაბრუნებუ-  
ლი ბინის საქირავებლათ, დღე და ღამ ოხუნჯობ-  
და, და ეხლა, როცა ოთახები აღარ იშონება  
მაშინ დაეძებს?!

დღე ყველამ თავის მოვალეობა შეასრულოს.  
თუმცა მე სხვის მოვალეობას ვასრულებ და ისე  
საქმეს მოვიკიდე ხელი რაც ჩემს ხელობას არ შეად-  
გენს, მაგრამ რა გავწყობა, შემთხვევა ყველაფერი

აბესალომ



# ჩვენებური კაუფმანი.

(ამბავი)

ძალიან კოხტა და ლამაზია ვლადიმერ არ — ძე. რაც უნდა იყოს, ნოქარი კია მაგრამ, მისი წვრილი, წელი, ქარხალივით წითელ ფოცებზე ახლად აშლილი შავი უღვაშები, შნოსა და ლაზათს აძლევს ისედაც მშვენიერათ მოლაპარაკე ვლადიმერს. ვისაც მხოლოდ თვალეშში უჭრის ქკუას, ამისთანა ქუა თხელი და ჯიბე ცარიელი ურჩევნია, ულაზაზო. მდიდარ გენიოსს.

ამისთანა ფრანტს, ამისთანა ლამაზს, ყველგან და ყოველთვის შეუძლია, გაეირზიყოს და სიყვარული გამოუტყუდოს ჩვენებურ ბანოვანებს და რა საკვირველია, ბევრი ქალიც სიამოვნებით თანხმობის ნიშნათ თავს დახრის მის წინაშე.

ვლადიმერმა მას შემდეგ მიიღო „პრიზი“ არ-შიუობაში, რაც მას კურკური და ხუნტრუცი დაუწყეს ჩვენმა „ტაბასკევა“ ბანოვანებმა.

— რა მენადღლება თუ ჩემი არ გახდება, არ-შიუობით ხომ მაინც ვიჯერებ გულსო,— ამბობდა ზოგიერთი მათგანი, სადაც კი ხელში ჩაიგდებდნენ ლამაზ ვლადიმერს და რასაკვირველია ვლადიმერიც არ ტოვებდა მათ გულ-დაწყვეტილს და როგორც კაუფმანი, (რომელიც 24 ქმრიანს, 36 ქვრივსა და 44 გასათხოვარს ყველას ცოლათ შერთვას პირდებოდა, ვინემ ოინებს გაუგებდნენ), ვლადიმერიც ასე იქცეოდა. რამდენი მაქანკალი მოუვიდოდა, ყველას ეთანხმებოდა და ყველას ნიშნავდა. რამდენ ქალს გეიცნობდა ყველას სიყვარულს უხსნიდა და შერთვას პირდებოდა..

ვლადიმერს სხვა და სხვა უსახელო წერილებიც მოდიოდა ჩვენებურ ხუნტრუციუნა ქალიშვილებიდან, რომელნიც გასაცნობათ პაემანზე ებატოებოდნენ; მაგრამ ის ამისთანაებს ყურადღებას არ აქცევდა, ვინაიდან გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ ზოგიერთები ეინის მოსაკლავათ გეიტყვილებდნენ და მოტყუებული რჩებოდა.

ერთხელ ლადოს სასიამოვნო წერილი მოუვიდა, რომელიც ლექსად იყო დაწერილი:

„ოცნებავ ჩემო, მშვენიერო,  
ჩემო ლადიკო,  
ლამაზ კაცთ შორის ლამაზო და  
ულამაზესო;  
სალოცავ ხატად გარდამექცა  
შენი აჩრდილი,  
გაცნობის შემდეგ ტრფობის ძალა  
გულზე დამესო.“

და ახლა გნუკავ, გვხვეწები,  
რაც უნდა მოხდეს  
როცა შებინდდეს, ბალის კუთხით  
მომინახულო;  
სადაც გვჩვევია ნეტარება  
ხვეწვა ალერსი,  
არ გამაწბილო სიცოცხლეო  
და ჩემო გულო“.

— ის არის, ის გაიღიმა ვლადიმერმა და წვერილი ჯიბეში ჩაიქუქკა.

სიღამო ხანია, ცა პოეტურათ ვარსკვლავების რითმებსა სწნავს, ამტვერიანებულ ქუთაისის ქუჩებში ნიავმა დაუბერა და ხალხიც ბუზებივით გამოეფინა ბულვარდში. მხოლოდ ერთ მიზნელეებულ უბანში ზის მარტოკა ვლადიმერი, ქუჩაში სხეულით მოვაქრე ქალებს აყოლებს თვალებს, რომლებიც ღამის ღანდებივით დაცოციალობენ. ვლადიმერს ჩაქრა გულში მათი აღევნება, გულს უტოკებს ისინი, სურს გაჰყვეს მათ, მაგრამ იმას ხომ ვერ მოატყვილებს ვინაც დაიბარა? ეგება ვინ იცის მას ქანქარიც ჩამოცანცლოს რამე.

ამ ფიქრებით არის გატაცებული ვლადიმერი, როცა ტარიელისებურმა, მკლავზე უმსხოსმა მათ-რახმა თავ-პირში რამოდენიმე ტყლაშუნი მოიღო, მოჩვენება მყისვე ღამის ღანდივით გაჰქრა. ვლადიმერი პირქვე მიწაზე გაიშხლართა და ღრიალი მორთო. ხალხი მიცვიდა... არიქა წყალი... მაგრამ ქუთაისში ასე ჩქარა ვაგლახ წყალი არ იშოვება, იქვე ურის კვასი აპკურეს და მოასურიელეს..

მეორე დღეს ხალხის ენაზე შემდეგი განცხადება იყო წარწერილი: ვლადიმერ არ — ძე წაუყვანია მაქანკალს ქალის დასანიშნავათ, ხუთასი მანათის მზითვში 25 თუმანი ნიშნობის დროს აულია, სამი თუმნის ნიშნები მიუტანია, შემდეგ ქალი რაღაც ოინბაზობით ყინულზე გაუტურებია, და 22 თუმანი გადუყლაპავსო..

მესამე დღეს ხალხის ენაზე შემდეგი წარწერა მიმატებოდა: ვლადიმერს ამისთანა შანტაჟისტობა ბევრი ჩაუდენია, ბევრმა უჩივლა, ბევრი უჩივის, მაგრამ აბა რას დააკლებენ გეგმა დროზე ჰქონია დაწყობილიო..

მეხუთე დღეს კი ყველას ენაზე წაცვეთილიყო ნაწერი, მხოლოდ ქარაფშუტა ბანოვანთა გულის ფიცარზე მსხვილი ასოებით ეწერა: ვლადიმერი შანტაჟისტია, ოხერია, მაგრამ მაინც კარგიაო..

რეკეკე-როკოკო.

## მეგობრული მათრახები.

მწერლები ვაგვიზარმაცდა,  
„ეშმაკის მათრახელები!“  
(აუკონიათ პირი და  
დაუკრებიან ხელები!)  
თანამშრომლებზე უფრო რე  
ცულლუტობს მესვეურები!  
(სხვებს ლანძღვენ, თითონ არიან  
საცემი—საბალურები).

ეშმაკი, ბოლო ხანებში  
ველარ გვიწერავს შაირებს,  
(პროზით კი ძალზე გაჰბერავს  
რომელსაც დააჩაირებს).  
მუზა დაჰკარგა მეტის-მეტ  
კახეთში მოგზაურობით,  
(მგონი სიმართლე გამოდგეს  
რაც იმაზე სთქვამს ხუმრობით!).

კოლომ თუ კვირის-კვირაზე  
დასწერა თითო შარადა,  
(ვითომ დიდ რამეს აკეთებს,  
დაბზუის წარა-მარადა!)  
ის ეშმაკს მოუწვევია  
მკითხველთა გასამწარადა,  
(არც მოგვასვენებს მგონია,  
ამოსაგდები გვარადა).

მსმენელებს კვლავინდებურათ  
ველარ აცინებს თაგუნა!  
(მიკვირს ეგ მარდი ცხოველი  
ეგრე რამ დააბზუნა!)  
მაშინ მუზაც კი მოუვლის  
თუ გამოვიდა სცენაზე  
(და ისე მთელი თვეობით  
კლიტეს დაიდგამს ენაზე!).

დიდი ხანია დავკარგეთ  
ბლიკვადე, ძველი მესტვირე,  
(გამოჩნდებოდა ველოდით,  
აი ის კვირე, ეს კვირე),  
მაგრამ ექვსი თვე იმისგან  
არ მიგვიღია წერილი,

(რა ვქნათ, ჯერ იმედს არ ვკარგავთ,  
მაინც ვართ თავდაპირველი).

ლდეს ველარც პიტნა ოხუნჯობს,  
მოსცენე, ენა ფხიანი,  
(არ ვიცით რამ დაამუნჯა,  
ან რა შეემთხვა ზიანი!)

თუ „გონორარი“ მოუწნდა,  
ციხის ცხოვრება სწყურია—  
(დასწეროს რამე კვიმატი,  
ააყაყანოს გურია).

ონისიმე კი მალი-მალ  
გვეტყოდა იგავ-არაკებს,  
(ბოლო ხანს ველარც იმისგან  
ვისმენთ ტკბილ ნაოლაბარაკებს!)  
ვთუ თუ იმანც შემდეგში  
სხვებსავეთ წაიზარმაცა?!  
(მაშინ ხომ ჩავგვიშვარდება  
ჩვენი სმია და ქამაცა).

მაგრამ თუ ყველა ზარმაცობს  
ერთი მაინც გვეყავს ბუტუნა,  
(მზეერავი არის, ქალები  
თუ ვინმემ ჩაიხუტუნა),  
მოიწერს სენსაციურად,  
ძლიერ მამაცი კაცია,  
(მაგრამ ღდეს ჭირად იმისაც  
აუტყდა—„დიღამაცია!“)

ცნობილი თანამშრომლებო!  
გვალბინეთ ქვეყნის ამბითა,  
თორემ თუ გადაგაყენეთ  
თქვენი მთავარი შტაბითა,  
მაშინ ჩვენ მეტბრძოლ არმიას  
შევაძლებთ ახალ ძალებით  
(და თქვენ—იარალ აყრილნი  
მტერსაც კი შეებრალეობით).

მათრახოსანი.



# გურული ენაკვიმატები

## II

### თომა თოხაძე.

განსვენებული თომა თოხაძე აკეთელი გლეხი იყო, ქკუა მახვილი, დარბაისელი, მოსწრებული „საწამლაი“ მოლაპარაკე, ვეფხვის ტყაოსნის ზეპირად მცოდნე. ის მამა იყო გურიაში ცნობილის და საყვარელის პავლია მამასახლისის (აწ გარდაცვალეულის). თვით თომაც ჯერ სოფლის მსაჯულად და მერე მამასახლისადაც იყო. თომას დროს გურიაში ფეოდალების ბატონობა იყო. მე-ბატონე თავადების სასახლეში, თუ არ რჩეული გლეხი ისე შეესვლას ვინ გაბედავდა. თომა თოხაძე სასახლეში მიღებული კაცი იყო. აკეთის მბრძანებელი იმ დროს იყო თავ. ყარამან თავდგირიძე. ამ სასახლის წევრებს სხვათა შორის ერთი გასართობი ჰქონდათ შემოდებული, სტუმარს მიართმევდნ რვეულს (ალბომს) და სავალდებულოთ უხდიდნ შიგ ლექსი ჩაწერა. სტუმრების უმეტესობა, ცხადა, საარშიყო და საქათინაურო ლექსებს წერდნ. თომასაც მიაწოდეს ეს რვეული და დაავალეს შიგ ლექსის ჩაწერა. თომა პირველად გაეცნოს სხვების ნაწერებს. ნახა რომ ვიღაც ხუცებს შიგ ჩაუწერია არშიყული ლექსი, ნახა რომ ერთ თავადის ქალს (ანნას) სამჯერ ნაქვრივალს და მერე ამოლაზნებულსაც უნებებია შიგ ლექსის ჩაწერა, წაიკითხა აზ. გოჯასპირ მეგლამის ლექსიც. გოჯასპირი მაძიებელი აზნაური იყო, დიდი ფაფხურა კაცი, წვერს იღებავდა, მუდამ ახალგაზრდობდა და აზნაურობის მიღებამდი ცოლს არ ირთავდა. აი ამით ნაწერ ლექსებს რომ გაეცნო (თომა მაშინ სოფლის მსაჯული იყო) მერე ჩაწერა შემდეგი ლექსი:

„მოსამართლის მონაწილე  
 ლექსსა ვიტყვი ერთსა უცებს: \*  
 არშიყული ლექსი უაქვამთ  
 ქაქუთიდან მოსულ ხუცებს,  
 ანნას მოლოზონებრ უთქვამს  
 თინათინებრ ნაკეკლუცებს,  
 ამ გოჯასპირს ვილა სჯილა  
 სამოცი წლის მონახუცებს!“


### თომა და ბერი.

თომას ერთი მეზობელი ჰყავდა, ჩღმი და და წყნარი, ერთი სიტყვით ისეთი, რომელზედაც გურიაში იტყვიან ჩოფანაოა (ჯაბანი). ეს ახალგაზრდა თვით მიხვდა, რომ სამაქვეყნიოთ არ ვარგოდა, წავიდა მონასტერში და ბერათ შედგა. რამოდენიმე ხნის შემდეგ სოფელში მოვიდა და თომას შეხვდა.

თომამ ჰკითხა:

- რათ ხარ ახლა ბიძია შენ?
- მე ბატონო მორჩილი\* გახლავარ!
- მორჩილი და ჩოფანო აქანაიც კი იყავი და ამიზა მონასტერში რას მიხვიდოდო. უთხრა თომამ.

### პერპემდუნ მობილე.



## პატარა ფელეტონი.

### „თბილი ადგილისთვის“.

„არ შეშენის, სწორე გითხრათ  
 აჩქარება ნოჩ ქართველებს,  
 მათი ქცევა არ ჰქონიათ  
 მამა-პაპათ, ჩვენსა ძველებს.  
 დინჯნი იყვნენ, სულ-დათქმული  
 და ყოველ-გვარ სანახავეს  
 მხოლოდ მაშინ ღალად-ყოფდენ  
 როს იქერდენ დამნაშავეს...  
 ჩვენ-კი... სხვა ვართ, მათ არ ვგვევართ  
 აგვერია მდლათ დავთარი—  
 სანამ საქმეს მოგავგარებთ  
 მანამ გვიყვარს დავჰკრათ ზარი!“

\* ) ბერობის პირველი საფეხურია.

ეპ, ქართველნო, ვით მიხვდებით  
როგორა ვარ გულ-დამწვარი!...

ბრიყენი, უვიც-უსუსურნი  
მე მაძლევენ გაკვეთილებს,  
რალაც ექვები აღძრათ—  
ხმარობენ მრავალ წერტილებს.


რა ვიცი რა მოუვიდათ  
ჩემს მოძმეთ, ადამაშვილებს,  
მათ ჰგონიათ, რომ მე ბანკში  
დავეძებდე „თბილ ადგილებს“!...

არა, ღმერთი, რჯული არა,  
არ მაქვს ამის საწადელი;  
ჩემს ფიცს ენდეთ, ტყვილს არ ვიტყვი,  
მამა მყვანდა პატრი—მღვდელი!  
ოჰ, „სახალხოვ“, შენ მიხვდები  
როგორ მტანჯავს ეგ ნაღველი!...

რათ მიღდა, რომ ბანკში ვიჯდე,  
ვიმსახურო დირექტორათ;  
ის არ მიჯობს ქართველები  
მთვლიდენ „ლოქტორ-პროფესორათ“?!  
ჩემთვისა ვარ მოსვენებით  
ფულსაც ვიღებ ერთი-ორათ,  
ხანდახან-კი გაზეთები  
მიმიწვევენ რედაქტორათ...  
მე რათ უნდა ვსწუხებე მისთვის,  
რომ ჩამრიცხონ კანდიდატათ?  
თავი ისევ მათ იმტვირონ,  
ვისც ეგ აზრი დაებადათ!—  
ეხ, ნეტავი არ მსჯელობდენ  
ქართველებო ეგრე ნარდათ!...

ასე ბქობს ჩვენი ფილიბე  
მაგრამ ერთი რამ არს ცუდი:  
„სახალხოელთა“ ბუდეში—  
მამალს მაინც უჩანს კუდი!...

ალბურონი.



## შავის გათეთრება.

(ბათუმისათვის).

ორშაბათი ღღეა. ოჰ, რა კვიმატი ღღეა ეს  
ორშაბათი! ქალაქის მესაქეთათვის, ამ ღღეს უნდა  
გადაწყდეს მათი ყოფნა არ ყოფნის საკითხი, ორ-  
შაბათი მათთვის განჯა-გაკატხვის ღღეა; როცა,  
რომელიმე წვევს ქალაქის თვითმართველობისას  
სამსახურის ყავლი გაუვიდა, მაგრამ ხელახლა სურს  
შენიარჩუნოს სავარძელი, ეგ საკითხიც ორშაბა-  
თობით წყდება და აი ეს ორშაბათი ყველაზე მე-  
ტად მწარ-ტკბილია.

ერთ ასეთ კვიმატ ორშაბათს (წასული თვის  
17) დიდი კორიანტელის მომსწრე იყო ბათუმი.  
ქალაქის თავს თავობის ხანა გავსლოდა, მაგრამ  
კვლავ სურდა შეერჩინა თვითილი ადგილი. არც  
საკვირველია მას შემდეგ რაც მან ამ ადგილს  
დაიბუდა ადგილი უფრო გათბა, ულუფა გაათქვე-  
და, თვით ლორდ მერმაც დიდი სახელი მოიხვეჭა,  
დიდი „მეგობრები“ შეიძინა,

მაგრამ კაი საქმე ვის დაუფასდა, ვისი ღვაწლი  
სცნეს უბრალო მომაკვდებმა? არავისი! ვერ და-  
ფასეს ბათუმის ხმოსნებმაც მათი უფროსის ამაგი,  
ვერ მიუხდნენ დიდებულ ტაქტიკას და მადლი-  
მატლათ უქციეს. ნაცვლად იმისა, რომ ერთხმად  
აერჩიათ მოინდომეს მისი გაშავება. მოვისმინათ  
სხდომის ანგარიში და ყოველივე ნათელი იქნება.  
სხდომას ყველა ხმოსანი ესწრება (ცხადია, ეს იმი-  
სი ნიშანია რომ ღღეს არჩევნებია). ესწრება არამც  
თუ არჩეული ხმოსნები, არამედ აურჩეველიც კი...

**გასაშავებელი თავმჯდომარე:** ბატონო ხმოს-  
ნებო! გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ  
სასულიერო წოდების ინტერესთა დამცველ ხმოს-  
ნად დაამტკიცა ბ. ლეონიდე, რომლის შესახებაც  
თვით მღვდელთ-მთავარი იწერება, რომ ის პირა-  
დათ იცნობს მის სენხიას, როგორც დიდათ მო-  
წმუნე ადამიანს და ეკლესიის ინტერესების მე-  
გარ დამცველს.

**გამშავებელი ხმოსანი:** სენატის განმარტე-  
ბით ეკრძალება გუბერნატორებს ქალაქის თვით-  
მართველობას, რაიმე თანამდებობის პირად, დაუ-

ნიშნის ისეთი პირი, რომელმაც ყუთი დაიდგა და გააშავეს. ბ-ნი ლეონიდე მართალია დეკანოზის შეილა, შეიძლება დიდი ღვთის მოყვარეც იყოს, შეიძლება ბერათ აღკვეცასაც აპირებდეს, ამასაც ვიტყვი, რომ მასთან მე საპირადო არაფერი მაქვს, მაგრამ ყველამ ვიცით ის რომ ხმოსნათ ამ ერთი თვის წინ ისე გაათეთრეს, როგორც ყორანი,

სხდომაზე შემოვიტან წინადადებას ბათუმის სახე-ლის გამოცვლის შესახებ. არ შეგვეშინოს ბათუმმა ატაროს ძველი სახელი მტრისაგან დაჩქმეული,

(ტაში მარცხნით, ჩურჩული მარჯვნივ: გვილალატეს, თორემ გაშავდებოდა).

გი ვაჰ!

## გამოცანა

ბუენარისთვის (გუგია)

ეგ საკადრი-სი არ არის, ეგ თავდასხმა თვით მართველობის პრინციპზე, ამიტომ მოვითხოვ ეცნობოს ეს ეპის-კოპოზს და ეთხოვოს სხვა დანიშნოს, განა ცოტა მღვდლებია ბათუმში და თუ ეს მღვდლები ბ-ნ ლეონიდეზე მართმორწმუნენი არ არიან გაკრიჭოს. მოვითხოვ სანამ ეს საკითხი არ გადაიჭრება, მანამ-ღი ბ-ნ ლეონიდეს ხმა არ მიეცეს...

**გასაშავებელი თავმჯდომარე:** ეგ საკითხი დღის წეს-რიგში არ არის, ვერც განვიხილავთ. ბ-ნი ლეონიდეც დღეს გვჭირია, თვითონაც არ მოდიოდა მაგრამ სამგზის ვახელით ეტლი და ელჩი... (ხმოსანთა ნაწილი დრტვინავს).

თავმჯდომარე თავმჯდომარეობას გადასცემს თავის მოადგილეს. არიგებენ ბარათებს და ასახე-ლებენ გასათავებელ კანდიდატს. ქალაქის თავი ღელავს... 28 ხმა (42-იდან) ასახელებს ისევე ძველს. ერთი ხმა ასახელებს ხმოს. გ. მაგროპულოს.

**მაგროპულო:** მე ბევრათ მეტი ღირსი ვარ მაგ თანამდებობის, ვიდრე ის ტაკი მასხარა, რომელიც მე მასახელებს. (სიცილი) თავს გამოცოცხ-ლება ეტყობა. იღვამს ყუთს, მაგრამ დალატობს მიღებულ ეტიკას, დალატობს დარბაისლობას და ჩვეულებისამებრ ყუთს არ შორდება, იქვე დგას და კენჭოსნების მარჯვენას გაფაციცებით შესქერის. მისი სული საარჩევნო ყუთშია, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცის რომელ მხარეს იქნება — შავში თუ თეთრ-ში... კენჭებს თვლიან... გათეთრდა. ორი წილი თეთრი და მესამედი შავი. ლოყები ბრწოვლის ყვავილს დაემსგავსა წელში გასწორდა და რიხიანი ხმით მიმართა შემარჯვენებებს: გმადლობთ ბატონე-ბო! ჩემი არჩევით თქვენ დადასტურეთ ჩემი წარ-სული მოღვაწეობა, მოიწონეთ ის. გაძლევთ თავა-ღურ სიტყვას, რომ კვლავ იმავე გზით ვიარო, (კვლავ შეგძინოთ „საპატია“ მოქალაქენი და აბუ-ჩათ ავიგდო მოძმე მეზობლები). ვისწრაფვი ბატო-ნებო წინ და წინ გაგიზიაროთ, რომ მე მომავალ

ორნი არიან ტოლნი არიან, წყვილად დადიან მიუხარიან. საქვეყნო ტვირთით ძლივს დალოდავენ, ოფლისა დენით მთელ სოფელს რწყავენ. სხვის კეთილ გრძობას უცხვით მარხავენ თვის ბოროტებას სხვის ბალში რგავენ და ეს გმირები, ახოვანები, სახით თქვენ იციით თუ ვისა ჰგავენ? ორივე მაღალი ვით საროს ტანნი, გულით ბოროტნი და ჯადოსანნი! ერთი რიჯა ვით ცეცხლის ალი, გული შავი აქვს მას ვით მელანი. მეორეს მგონი თითონც მიხვდებით თუ კი რომ ცოტას ჩაუკვირდებით და მოიფიქრებთ პირველის ნაცნობს წამსვე გაიგებთ მათ ჩუმათ საძრომს. ვგონებ გეყოფათ აწ თქვენ საცნობათ (ექვს გარეშეა მჯავს დასდებთ ზორბათ).

იგი თქვენ.


მოკლე ხანში კამოვა იუმორისტული აღმანახა

## „ჭინჭარი“


ბენია და ბეშტიას ხელმძღვანელობით, რომელმაც მონაწილეობას მიიღეს მთელი ქვეყნის ოსუნჯება.

მასალები გამოგზავნება შრომის სტამბაში, აღმანახისათვის.

# კახეთიდან თფილისისაკენ.



ეშმაკი (ეუზუბეა კახაძე-ქობულაძის): თუ ღმერთი გწამს ვამიღე კარები, ფეხით წავიღო, ძალიან მეჩქარება, თუ ამ კვირაში ჟურნალი არ შევადგინე, ჩემი „მათრახის“ წვერიც მცემ მომხვდება.!



ი. ზარდალიშვილის გამოგზავრება თფილისისაკენ.





## ვაი-ვუი!

სევდიანი კუბლეტები.

— ვაი-ვუი ჩვენს საქმეს,  
მოგვივიდა „სკანდალი“!  
დაგვეკარგა ეშმაკი,  
(ჩვენი მთავარ-სარდალი!)

კახეთისკენ წავიდა  
(მგონი ოცდა-ცხრაჯერა),  
ის უოცხალი დაბრუნდეს  
ალარავის არ სჯერა.

— ვაი-ვუი, განგებამ  
ეს რა ბედი გვარგუნა!  
მთელი კვირა არა სჩანს,  
დაგვეკარგა თაგუნა!

მათრახის მასალები  
მას უნდა შეედგინა,  
აგრე მიგვატოვებდა  
როგორ წარმოგვედგინა?!


— ვაი-ვუი ამ ქამას,  
ეს რა ხანა გვეწვია!  
ეხლა კაცის სიცოცხლე  
მხოლოდ ერთი ბეწვია.

იქნებ მტრებმა იმსხვერპლა  
ჩვენი მეთაურები  
და ჩვენ დავრჩით „მათრახში“  
ეხლა ბედაურები?!

— ვაი-ვუი ჩენს საქმეს,  
ეს რა დროი მოსულა!  
ხალხი მხეცი გამხდარა,  
(კუკუიდან გამოსულა!)

ჩვენც რომ ვინმემ გვიმსხვერპლოს  
ყველგან ბრძოლის ველია,  
მაშინ „მათრახს“ მასხრებიც  
ხომ სულ შემოვლია?!

ეშმაკეული.



## ოზურგელი ვაჭრის წერილი

ბატონო „ეშმაკის მათრახის“ რედაქტორო!  
ახლა იმისთანა დროია, რომ საკვირველი კი  
არაა ბრუნდი და მართალი რომ არ გვიკითხოთ,  
მარა თქვენც პოლიცია ხომ არ ხართ, უქრთამოთ  
რომ სიმართლე ვერ დავაწერიოთ. რომ მოსდევით  
და მართლუი ვაჭრებს მოგვედქით და გვამათრახებთ  
და გვამათრახებთ, რას ფიქრობთ ვითამ, სხვაი დე-  
ილია სამათრახო თუ? რეიზა არ აქყერთ თვალს,  
ჩვენ თუ სამათრახო ვართ სხვაი კიდევ ვარესია

ჩვენზე. ჩვენ კი თუ გინდა აბაზიან საქონელში  
სამ აბაზს ვიღებთ, მარა აბაზის საღირაღს ხომ  
მაინც ვიდღევით და ამიზა დიდ დროსაც არ უკარ-  
გავთ მუშტარს. მარა ახლა იკითხეთ ერთი რას  
შობიან აქაური ქალები, ნახეთ ერთი რაფერი ვაჭ-  
რობა აქვენ. მოსალამურდება თუ არა, რავეც მუ-  
აწვეს დუქნის დაკეტვის დროი გამუაგზავნიან აი  
ქალბატონები თავის უწლოვან ბაღნებს და შემო-  
თვლიან:

— ნენამ შემოგივალაო შენ რომ იციო,  
ახლაო ამელამ მაქვსო იმის დროიო.

ჩემისთანა ბერიკაცს, ვერ მივართვი პატრიჯა-  
ნი, ვეღარ მუატყუებენ, მარა გეირყვნა ბატონო  
რედაქტორო ახალგაზრდა ვაჭრები, პრიკაშიციები  
და მათი შემხედვარე ბაღნები. ეიღებენ თავს, გე-  
იზხაკინებენ უღვაშს, ამოალაგებენ დახლიდან  
ფულს, გეივსებენ ჯიბეს, წათამაშებენ ტროსტს  
და მიდიან ქალბატონებთან სახრაპოთ და მთელი  
ღამე ხრაპ და ხრაპს იძახიან. ჩემს დროსაც ვთა-  
მაშობდით ბატონო ბანქოს, მარა კონჩინას და  
ხანდახან ჩაქას, იმასაც გაღურაქებაზე თვარა ტყა-  
ვის გაძრობაზე კი არა. ახლა გასძვალა ბატონო  
ამ ქალებმა ახალგაზრდები, გაშვა ყველას ტყავი,  
რამდენმა წააგო ბანქში შესატანი ფული ვინ იცის.  
ამელამ წააგო, ხვალ ამევიგებო ფიქრობს, მარა  
ხვალ კიდევ ვარესი ემართება.

არ იფიქრო ბანო რედაქტორო ორი სამი ქა-  
ლი თამაშობდეს, ორი სამი კი არა მთელი ოზურ-  
გეთის ქალები თამაშობს, აგი რაცხა ხრაპია ყვე-  
ლას დიემართა და თუ თქვენც ქალების ფხარი არ  
გიკავიან მაგინის პათრეთს გამოგიგზავნი და ერთი  
ჩაკაკრიკატურეთ თქვენს „მათრახში“, პაწეი მით-  
თახი მაგენსაც თვარ მოხდა აგი ავთმყოფობა შე-  
ყობა ასე ზევით და ქე ავა სურებამდი.

სულო ცოდვილო, ფართლის ვაჭრებიზა კი  
არაა აგი გლახა, რადგანაც მეიგებენ თუ არა ქა-  
ლები მორე დღეს მოდნი სარუბაშკეს ყიღულო-  
ბენ, მარა სხვა ვაჭრები დევიფსეთ პირდაპირ. ამას  
თუ ჩაავდებთ გაზეთში იმით მივხვდები, რომ თქვენ  
ქალებს ხელს არ აფარებთ და ყველა მტყუანს  
ერთნაირად ამათრახებთ.

„ეშმაკის მათრახის“ მკითხველი ოზურგელი  
ვაჭარი ესიკაი ჭინჭარ-ოღლი.

# დეკემბერი

**ბუქნარი.** (გურია) როგორც გამოირკვა ადგილობრივი შკოლის დაწვას აწყობდა ორი ქველმომქმედი პირნი ფრიად სიმპატიურის მიზნით?

**ხიდისთავი.** სარწმუნო წყაროებიდან გაუფია ჩვენს კორესპონდენტს, რომ ბასილეთის საზოგადოების ყრილობა დიდხანს არ შედგება, რადგანაც მამასახლისი, სანამ ღვინო, იშონება ყრილობისთვის არ ეცლება.

**იქიდანვე.** ყოფილ მასწავლებელს და დღეს მხედრობის წარმომადგენელს ტ—ხან ქე—შვილს ადგილობრივმა ინტელიგენციამ „ბიკნიკი“ გაუმართა. საპროგრამო სიტყვა ექიმმა ს. რ.—შვილმა წარმოსთქვა, რომელიც ვრცლათ შეიხო ღღემანდელ მომენტის დაფასებას, მისმა ორატორულმა ნიჭმა დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა.

**იქიდანვე.** რადგანაც ადგილობრივი დრამატული დასი ამ თვის დამღვეს „ბახმაროზე“ მიემგზავრება წარმოდგენების დასადგმელათ აქ წარმოდგენებს გამართავს ბუქნარის დრამატული დასი სილვეან კალანდაძის რეჟისორობით.

**იქიდანვე.** ვ—ენ კ—ძეს შუამდგომლობა აღუძრავს სადაც ჯერ არს, რათა მის ნება დართონ დაბა ქაცვინარში გახსნას მეორე წვრილი საკრედიტო ბანკი. როგორც ამბობენ ეს გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ ხიდისთავის საკრედიტო ბანკს უარი უთქვამს ვ—სთვის წევრობაზედ.

### ლილიპუტი.

**ზუგდიდი.** ზუგდიდის სამაზრო სამოსწავლო კომისიამ საყოველთაოდ გამოაცხადა, რომ ამ დღეებში შესდგება მასწავლებელთა ჯგუფი, რომელიც გამოცდის ყველა მასწავლებლებს ქართულში და სხვა საგნებში და ვინც ჩაიჭრება იმათ გზავნის პოზიციაზე. ჯგუფში სხვათა შორის შედიან ჩვენი რაიონის წარჩინებული მასწავლებლები: ბ.ბ. კოწია ეხვია, ვასილი კუტალია და სხვები, მხოლოდ ამათხე ყველაფერი დამოკიდებული. თავმჯდომარეთ იქნება მოწვეული პლატონ ბერაია.

### მოსწავლე.

**აბაშა.** ეს ერთი ხანია (პრისტავ აბაქაროვის გადაყვანის შემდეგ) ჩვენს დაბას შემოესია ღორების ლაშქარი, შეიარაღებული ქიმიის უკანასკნელ გამოგონებით, სულ შემხუთავ გაზების მავნარ რაღაც „სიმყარლით“, რის შემწეობითა დაიპყრეს მთელი დაბა. ქუჩებში „ნიღაბ“ აუფარებლათ სიარული მეტათ სახიფათოა. სანიტარული კომისია სხვა და სხვა „სტრატეგიული“ მოსაზრებით (უფრო კი მოქალაქეობრივი გამბედაობის უქონლობის გამო) ჯერ-ჯერობით უბრძოლველათ უკან იხევეს.

როგორც ვაგივეთ სანიტარულ კომისიას შეტევის გზაზე დადგომა და დაბიდან ღორების ლაშქრის განდევნა განუსაზღვრელ დროისთვის გადაუდგია. თუ ეს ხმები გამართლდა მაშინ დაბის „ეკავაუცია“ აუცილებელია. მდგომარეობა მეტათ სერიოზულია. საქირა, რამოდენიმე მათრახოსანი ქიკები, შეიძლება მათრახის კუღმა გასჭრას და სანიტარული კომისია დააყენოს შეტევის გზაზე.

**იქიდანვე.** მასწავლებელ ქალებს სამკითხველოში „სისტემეტიურმა სიარულმა“ და გაზეთების „მეტის მეტმა კითხვამ“ თვალები სასტიკათ დაუზიანა. რის გამო „დროებით“ (ორი წლით) შესწყვიტეს სამკითხველოში სიარული.

**იქიდანვე.** „ცუბელინების დაბაზე თავ დასხმის შიშით დაბის მამებმა სიფრთხილის ზომები დროზე მიიღეს. დაბის „გაზაფხვე ოსვეშენიეთ“ განათება სასტიკათ აკრძალულია. ასე რომ აწი მტრის დირიჟაბლები ვერას დგვაკლებენ, თუ სადმე ქუჩის სიბნელეში კისერი არ მოვიმტრიეთ...

კიბო.



# ჩვენი მღვდელი.

(ასახლი ოდელა-გამოცანა)

დელი-დელი, დელი-დელი,  
 ხომ გინახავთ ჩვენი მღვდელი?  
 ლამაზია, ენა-ტკბილი,  
 მოქადაგე დაუღლელი.  
 დეკანოზობა მიიღო  
 შეუსრულდა ათი წელი,  
 ახლა კი „მაძებრობისაც“  
 დაიმტკიცა მან სახელი.

გულ-კეთილი ვინმე არის—  
 ძლიერ უყვარს მუშა, გლეხი;  
 მათი ზურგი გაუტკბილდა  
 და დაადგა მძიმე კეხი,  
 ხოლო ვინც გაუჯიუტდა,  
 მოუფლინა რისხვის მუხი,  
 მისგან დადგმულ მაცდურ „ხუნდებს“\*)  
 ბევრმა წაატეხა ფეხი:

ზოგსა მოძმე გადაჰკიდა,  
 ზოგს ვაჭარი, და ზოგს მცველი,  
 ზოგს პირადათ გამოუდგა  
 და მოსტეხა უძღურს წელი;  
 ბევრიც იქით მიაბრძანა  
 საღ საკანი სუფევს ბნელი,  
 აი ბიჭო გენაცვალე,  
 ასეთია ჩვენი მღვდელი.

ძლიერ უყვარს განათლება,  
 თუ კი დარჩა სარფიანი;  
 ერთი სკოლა გამოსჭიმა  
 ოციოდ ათასიანი,  
 მაგრამ კარგათ გამოგვიწყო—  
 სწავლაა ბარაქიანი  
 ტყუილი კი არ გეგონათ!  
 მღვდელი გვყავს ხელ მადლიანი.

სასახლო კაცი არის  
 ნაკურთხი და ჯვარიანი  
 მთავრობასაც ძლიერ უყვარს,  
 ის ენა ჯავარიანი  
 და სკოლას რომ „წაიმასქნას“,  
 ჩვენ ხომ არ გვაქვს მით ზიანი?  
 გული ამით გავიკეთათ,  
 ოდელია, დელი-ნანი.

ბევრ საქმეში გვემთაურობს  
 და არ მიაქვს სასყიდელი  
 (თუმც რაღაცა მანქანებათ,  
 ბოლოს ჯიბე გვრჩება თხელი ..)  
 მაგრამ ამას არც კი ვიმჩნევთ,  
 რადგანც ჭირში გვყავს მშველელი...  
 აწი ენა დავამოკლოთ—  
 აქ ბევრია საქმე ბნელი...

თუმც ყოველ მხრივ იკბინება,  
 პირში ტკბილობს ვით მელია,  
 „დიპლომატსა“ ეძახიან,  
 ჩვენებრ—ფარისეველია,  
 მაგრამ კუდი გამოუჩნდა:  
 ვიცით არის ის მელია!  
 ელი-მელი' დელი-დელი  
 ტურა-კეკე; ტერ-მელია...

აბა დელი, ვოდელია  
 ბანძა დიდი სოფელია,  
 და ბატონათ მოგვევლინა  
 ტურა-კეკედ მყოფელია.  
 გაუფრთხილდით ყმაწვილებო,  
 დურმიშხანობს მძრომელია  
 დელი-დელი, გენაცვალე  
 ხომ იცანით რომელია?

მაჯლაჯუნა.



\*) „ხუნდი“ (მეგრ.)—რკინის მანე მხეცების (უმთავრესათ ტურების) დასაქერი, ძველათ, ბატან-ყმობის დროს, დამწამავე გლეხებსაც „დასვამდენ ხუნდზე“—ე. ი. „ხუნდებს“ გაუკეთებდენ ფეხზე, რის გამოც ხშირათ ფეხის ძვალი გადაიმტვრეოდა ხალხმე. ენლა „ხუნდის“ ქვეშ იგულისხმება „ფანდი“, ეშმაკობა, ხრიკი, რომელიც აგნებს, ან ფეხს წაატეხის ენებს კაცსა..

# გამოცანა.

(ქვემო რაჭისთვის)

ვყვია ყარაჩოღელი  
უყვარს ყურძნისა წვენია.  
ცული სიტყვების ხმარება  
ოდნავაც არა სცხვენია.

მოხელის როლსა ასრულებს  
იცი ზედმეტი ტრაბახი,  
(მას ძლიერ დაშვენდებოდა,  
თავს ედგას კინტოს თაბახი).

სამსახურის დროს მთვრალია  
(ფხიზელი ღმერთში ნუ ქმნას!)  
ხან „პოსტზე“ სრულაც არ არის  
არღანზე უვლის ბუქნასა.

ხან ლექსით ატკობს ნუნუსა  
ხან კი გიჟივით შფოთავსა,  
(ამბობენ თურმე საბრალო  
ძილშიაც ღვინოს ბოდავსა).

ზედი ზედ აშრობს ყანწებსა  
იცავს ბახუსის მცნებასა  
(ხალხი კი „პოსტზედ“ ამოღ  
ელის მის „მობრძანებასა“).

ლოთობა არის იმისი  
ცხოვრების გზა და ხილია,  
ხალხიც და სამსახურიცა  
იმას ფეხებზე ჰკილია.

ასეთი ტყვილა მყოფელი  
კარგ ჯამაგირსაც იღებსა  
და თანასწორად ურიგებს  
მიკიტნებ-არღანჩიკებსა.

აბა ვინც მიხვდეთ, საჩქაროდ  
ისწრაფეთ ყველამ მისკენა  
და იქვე ბესოს დუქანში  
კარგად მოგალხენსთ ის თქვენა.

# ფ მ ს ტ ა

ლევან გრძელიძეს. პოეტობისათვის რომ სი-  
გრძე იყოს საჭირო, მაშინ თქვენს ბედს ძალდი ვერ  
დაჰყვება, მაგრამ სამწუხაროდ ეს ვერც არ არის.  
თქვენ სწერთ:

არ წივიცა გამოფრინდა,  
მიმიტოვა ობლათ ბუდე...  
ან კი როგორ შეეთვისა  
სიმათლეს რომ სჯობდა მრუდე“.

საჭიროა, (სიგრძესთან ერთად) ფრინველების  
ცნობაც. სირცხვილია „მოკანამა“ მწვერი არწი-  
ვისაგან ვერ გაარჩიო.

ჭკუის საღაროს. თქვენი ლექსი „ყვენესა სუ-  
ლისა“ არ იბეჭდება, ვინაიდან სრულიად არ შეე-  
ფერება თქვენს ფსევდონიმს. შეიძლება ვინმე უნი-  
ქოს გაატანეთ ფოსტაში და გამოსცვალო.

## ბ-ნ ცქვიტს.


თქვენი ლექსი „სამშობლოს გმირს“,  
დამერწმუნეთ, ბეჭდვით არ ღირს  
და ამიტომ სამოგზავროთ  
გავავზავნეთ კალათის ძირს.

ლილ. ჭკუასეღს. „აჩქარებითა სახელი  
არავის მოუქამიაო“, ამბობს ქართული ანდაზა.  
თქვენს ლექსს აშკარათ ეტყობა არ მიგილიათ ის,  
რასაც „ფსევდონიმში“ მოუთმენლათ ელით. დღეს  
დღეობით მიმოსვლა შეფერხებულია და უმჯობესი  
იქნებოდა, როცა მიიღებდით მერე დაგეწერათ.

„როგორც ხედავ, მოლოდინში  
გული დარღმა გამიხვრიტა  
და დავდივართ თავდაზრილი  
მე და ჩემი „მზისუკვრიტა““.

ცოტა ხანს კიდევ ისეირნეთ.

კვანი.



# აღსასრული აღაშენის ტანჯვისა!

## სუსუნათის წამლოვა.

მ წელიწადი გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი „რაპიდი“ გასასყიდად გამოვიდა, სამკურნალო ბაბუკის ნებართვით № 1295, სუსუნათის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავთმყოფი სრულიად განიკურნა, რამელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მძღვეს, პრეპარატი „რაპიდი“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მოქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დავიკრებამ კვლავ დაამტკიცა, რომ „რაპიდი“-ის პრეპარატი წამლობის შემდეგ სუსუნატი რომ არ მორჩენილიყოს ამისთანა შემთხვევა არ არის, ამისათვის გადაჭრით ვცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა ჩემი გამოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა სავარაშისა სუსუნათის მოსარჩენათ, და „რაპიდი“-ის შემწეობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს.

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნათის (გონორეი) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდა ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ გუვის თვალთ შეჰხედონ ჩემს წამლოსაც, — ამ შემთხვევაში მამთს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რომ ჩემი რწმენა „რაპიდი“-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, ამის დასამტკიცებლათ ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატი „რაპიდი“-ის ორს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალოთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი, რომ უკეთუ არ მოაჩინოს, ფულს უკანვე დაუბრუნებ.

**ნიმუში ჩემის ხელწერილისა:** „მე, ამისა ქვემოთ ხელისა მომწერილი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამას და ამას) იმაში, რომ მივეცი რა მას ჩემი „პირად“-ის ორი ფლაკონი, სუსუნათის წინააღმდეგ, თავდები ვარ, რომ ოცი დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დაეუბრუნო“ (ხელ. მოწერ.).

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრს განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები, გადაწყვეტიე ჩემს განცხადებებში მოვთავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ, თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, ვალდებული ვარ, ვადავისადა 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სახარვედილოდ.

17. მ. ხ., ბ-ნო დელამურე! დიდად გმადლობთ თქვენი წამლის „რაპიდი“-ისათვის, რომელიმაც ერთბაშათ იქონია კარგი გავლენა. ძნელია განცხადების დაჯერება, მაგრამ თქვენი განცხადება კომერციული მოსარებით არა ყოფილა, არამედ ავადმყოფთს განკურნებას ურჩევს, ამაში თვითონ დავრწმუნდი, განმეორებით ვიხდით მადლობას.

ნაგეორადი 14 მარტი, 1914 წ.

3. 5. 3. 5.

წამლობის სრულ კურსის, ორმაგ წყველ ფლაკონის და კოლოფ პილულის ფასი ცხრა მანეთი. გაგზავნით და ფასდადებით ათი მანეთი. ფასდადებით გიგზავნება მხოლოდ მაშინ, თუ ბედ წარმოადგენენ 3 მანეთს.

Съ требованіями и заказами обращаться исключительно кавказское отдѣленіе Московской Лабораторіи М. Деламурі. Тифлисъ Эриванская площ. Шушинская 3 отд. 3/м. верхній этажъ.

ქალაქ თფილისში

გამოდის ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

# ეშმაკის მათრასი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი და თაგუნა**,  
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.  
„ეშმაკის მათრასში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები,  
არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

◆ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

**Тифлисъ** \*)  
С. Р. Таварткиладзе.  
Олгинская 6,  
Почтов. ящ. № 96.  
(ეშმაკის მათრასისათვის)



\*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვადგინებთ, რომ  
◆ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ◆



ეს დასაქცევი, მეცხრე დღეა სახლს დავეძებ და ლამის ცოლ-შვილიც დავკარგო.